ცნობის ფურცელი

№ 1911 შაბათი, 31 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1911

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშუეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

საგენერალო საზოგადოება

სიცოცხლის და შემოსავლის დაზღვევისა, უმაღლესად დამტკიცებული პეტერბურგში 1899 წელს.

საგენერალო საზოგადოება.

ყველას შეუძლიან უზრუნველ-ჰყოს თავისი თავი სიცოცხლის დაზღვევის საშუალებით.

უიაფესი ტარიფები. ლიბერალური და ჰუმანიური პირობანი. დამზღვევთა უზრუნველყოფილობა.

საზოგადოების პოლისები უდავო და დაურღვეველია

შედარებითი ტარიფი პრემიებისა იმ 35 წლის კაცთათვის, რომელნიც 10.000 მანეთში დაიზღვევენ თავს.

საგენერალო საზოგადოებაში	რუსეთის სხვა საზოგადოებებში	იმ უცხოელთ საზოგადოებებში, რომელნიც რუსეთში მოქმედებენ.
242 მ. 40 კაპ.	272 მან.	307 მან.

ფულის გადახდა ყოველთვიურადაც შეიძლება.

დაზღვევა თავისა შეიძლება 18-დან 65 წლამდე. საჭიროა მანე და ინტელიგენტი აგენტები და თანამშრომლები ამიერ-კავკასიისათვის.

ამიერ-კავკასიის ოლქის გამგე ა. ს. გრიცი. ოლქის ინსპექტორ-ორგანიზატორი ნ. ი. კრეინდილი, ტფილისი.—სერგიევის და სოლოლაკის ქუჩ. კუთხეში, კონტორა ღიაა დილის 9—2 საათ. და საღამოს 5—8 ს. ტელეფონი № 429. (5—4)

საგენერალო საზოგადოება.

პანსიონი და სასწავლებელი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩა № 25. ყმაწვილებს მიიღებენ 1-ლ ენკენისთვიდან. (10—3)

ქუთაისის წყალსაყვანისა და ელექტრონის ტრამვაის

ამხანაგობის გამგეობა

აცხადებს, რომ შემდეგი მორიგი ვადა ამხანაგობის დროებით პაიების კვიტანციების I-ლი და მე-II სერიის ხვედრის შემოტანისა ახლოვდება (ამ წლის 10 სექტემბერს) და ამიტომ საყოველთაოდ აუწყებს, რომ ეს ხვედრი შემოსატანი მიიღება ქალაქ **ქუთაისში ამხანაგობის გამგეობაში**, აგრეთვე **ქუთაისის საურთიერთო საკრედიტო საზოგადოებაში; ტფილისში განსაკუთრებით სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების ბანკში.**

ნამდვილი და დროებითი (მე-III სერიის) პაიების კვიტანციები ამხანაგობისა მსურველს შეუძლია შეიძინოს: 1) ამხანაგობის კანტორაში, 2) საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში, 3) მიხეილის საადგილ-მამულო ბანკის ხაზინადრის თავ. ი. ა. მიქელაძესთან და 4) შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს მდივანთან, ა. თ. ნანეიშვილთან; **ტფილისში**: 1) სამეურნეო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში და 2) ამხანაგობის გამგეობის წევრებთან: თავ. რ. ტ. ამირეჯიბთან, ა. ს. ბაბოვთან და თავ. გ. ნ. დიასამიძესთან; **ბათუმში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ფოთში**—საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში; **ჭიათურაში**—შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო საკრედიტო საზოგადოების გამგეობაში. (3—2)

ამომრჩეველთ
მესამე საარჩევანო ნაწილისას

(მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო ნაწილები)

იწვევენ საზოგადო კრებაზე, რომელიც მოხდება კვირას, 1 სექტემბერს, დილის $10^{1/2}$ საათზე ვეტცელის სასტუმროში (მესასხლეული ქსენიას ქიჩიდან). კრებამ უნდა შეადგინოს საბოლოო სია ქალაქის საბჭოს ხმოსნებად ასარჩევ კანდიდატებისა. (2—2)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარხუძოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინაძისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდ. პირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

სასწავლებელი, პანსიონი და საბავშო ბაღი
ერისთავ-ბუგაევსკაიასი

იღებს ბავშებს პანსიონერებად, ნახევარ პანსიონერებად და გარედან მოსიარულებად და ამზადებს მათ ყველა სახაზინო სასწავლებლისათვის.

მიღება 24 აგვისტოდან. სწავლის დასაწყისი 2 სექტემბერს. ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 51 აივაზოვისა. (3—2)

ხელოვნების მსურველთა საყურადღებოდ

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა წელს აპირებს **გამოსაცდელ წარმოდგენის გამართვას**; ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება ვისაცა ჰსურს, უნდა განაცხადოს თეატრის კანტორაში დილის 10—12 საათამდის. (3—2)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი
ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

გერმანია. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ პოზნანში წარმოთქმული ვილჰელმ მე-II სიტყვის საკმაოდ მშვიდობიანი კილო. ბურგომისტრის სიტყვა სულ საზოგადო ფრაზებიდან შესდგებოდა, რადგან იმპერატორმა მოსვლის წინად მოითხოვა ეს სიტყვა, ამოშალა ყოველიფერი, რაც კი პოლიტიკას შეეხებოდა, და შემდეგ, მოსვლისას, მოისმინა იგი, ალბად, დიდის ყურადღებით. ზომიერი პოლონელი გაზეთები ურჩევდნენ პოლონელებს თავ-დაჭერით მოიქცეოთო. ეს „თავდაჭერა“ იმაში გამოიხატა, რომ პოლონელებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღეს დღესასწაულში, არ გამოვიდნენ ქუჩაში და არ გაანათეს თავისი სახლები. სამაგიეროდ გერმანელები ცდილობდნენ ისე დაედგათ ელექტრონის ფანრები, რომ პოლონელების სახლებიც გაენათებინათ. ახლო-მახლო ადგილებიდან მოიყვანეს მრავალი ხალხი (გერმანელები), რომ ცარიელი ქუჩები აევსოთ და დღესასწაულისთვის სიდიადე შეემატებინათ.

მაგრამ პოლონელმა გაზეთმა „პრაგა“-მ ისეთი სტატია დაბეჭდა იმპერატორის მოსვლის წინა დღით, რომ პოლიციამ კონფისკაცია მოახდინა, ნომერი დაიჭირა. მაგრამ იმავ საათს მეორე გამოცემა გამოვიდა, რომელიც პოლიციამ კვლავ დაიჭირა და რედაქტორი კი დააპატიმრა. მის შემდეგ გაზეთის გამომცემელმა გამოაცხადა, რომ გაზეთის კიდევ დაბეჭდვა შეუძლებელია, რადგან სათაურისა და სხვა საჭირო კლიშეები პოლიციამ წაიღოო.

ესპანია. რომის პაპა ცდილობს ესპანიაში მაინც ხელიდან არ გაუშვას თავისი გავლენა, რომელსაც ასე აბუჩად იგდებენ საფრანგეთში. ესპანიის მთავრობისთვის პაპს მოუთხოვნია, რომ კონკორდატის რეფორმის საქმე კომისიას გადაეცეს და თავმჯდომარედ ტოლედის არხიეპისკოპოსი კარდინალი სანჩი დანიშნეთო. ამას გადაჭრით თხოულობს კარდინალი რამპოლლა და საგასტას სამინისტრო მეტად უხერხულ მდგომარეობაშია. ვატიკანმა გამოსთქვა აგრეთვე სურვილი, რომ კონგრეგაციებს ესპანიაში პატივისცემით ეპყრობოდნენ და მათ განვითარებას არავითარი დაბრკოლება წინ არ ეღობებოდეს, რომ მათ არ ჩამოერთვათ შეძენილი ქონება და, უპირველეს ყოვლისა, ხალხის აღზრდაში მათი როლი არ იყოს შეზღუდული. ვატიკანი უჩივის ახლანდელ განათლების მინისტრს გრაფ რომანონესს, რომელიც ცდილობს თავისი დეკრეტით შეასუსტოს კონგრეგაციების გავლენა. რამპოლლასა და ვატიკანის სურვილი, რომ კონკორდატის კითხვა აუცილებლად განსაკუთრებულ კომისიას გადაეცეს, იმით აიხსნება, რომ უნდათ კითხვის გადაწყვეტა გააჭიანურონ იმ დრომდე, ვიდრე დღევანდელი ლიბერალური პარტია ნდობას არ დაჰკარგავს მეფის თვალში. კლერიკალური პარტია თანდათან ძლიერდება და ჰგონიათ, რომ საგასტამ, თუ ადგილზე დარჩენა უნდა, განათლების მინისტრი რომანონესიც უნდა მსხვერპლად შესწიროს კლერიკალებს, როგორც კანალეიასი შესწირა კლერიკალურ პარტიას და სამეფო სასახლის ძალდატანებასო.

ახალი ამბავი

✦ ხუთშაბათს, 29 აგვისტოს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი დრამატურგის **ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის მახლობელნი, დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი, ჟურნალ-გაზეთების თანამშრომელნი და განსვენებულის პატივისმცემელნი.

✦ ტფილისის სასულიერო სემინარიის მთავრობას გადაუწყვეტია შეუდგეს ამ დღეებში **სემინარიის ახალ-შენობის აგებას ვერაზე**. საძირკვლის ჩაყრა დანიშნულია 14 სექტემბრისათვის. საძირკვლის ჩაყრის დროს პარაკლისზედ დასასწრებლად მიწვეულნი არიან საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სასულიერო პირნი და სემინარიის აღმზრდელ-მასწავლებელნი.

✦ უმაღლესის ბრძანებით შეცვლილ იქმნა სასულიერო სემინარიების წესდების მე-92 პარაგრაფი. ახალის პარაგრაფის ძალით, სემინარიის საპედაგოგიო საზოგადოების კრებებზე ესწრებიან: ინსპექტორი, მასწავლებელნი და ორი წევრი საეპარქიო სამღვდელოებისა. წევრები სამღვდელოებამ უნდა აარჩიოს და ეპისკოპოსმა დაამტკიცოს.

✦ საერო განათლების სამინისტრომ, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორთან შეთანხმების შემდეგ, ნება დართო, **სასულიერო სემინარიებში სწავლა-დამთავრებულნი ამიერიდან მიღებულ იქმნან ხოლმე პეტერბურგის საცდელ ინსტიტუტში.** რადგანაც წელს გვიან არის, სემინარიელების მიღებას გაზაფხულიდან დაიწყებენ.

✦ მკითხველთა სასიხარულოთ ვაცხადებთ, რომ **ტყუილი გამოდგა გორის ქალაქის თავის ი. გ. საკოვის გარდაცვალების ამბავი.** პირიქით, ეხლა საკოვი ისე კარგად არის თურმე, რომ ოთახში დადის. ბ-ნ საკოვის გარდაცვალების ამბავი ტფილისში ამ ოთხი-ხუთის დღის წინად გავრცელდა, ზედაც „ნოვ. ობოზრ.“-ში დაიბეჭდა. ჩვენმა რედაქციამ მხოლოდ ამის შემდეგ მოათავსა ეს ამბავი. ვუსურვებთ პატივცემულ საკოვს დღეგრძელობას.

✦ ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ბ. მუხანოვი ატყობინებს ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს, რომ ჩერნიგოვის გუბერნიის თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს, რათა სავაჟო გიმნაზიების საპატიო **მზრუნველები** თავად-აზნაურობამ აირჩიოს, და სთხოვს ტფ. თავად-აზნაურობამაც მხარი მისცეს ამ შუამდგომლობასაო.

✦ ორიოლის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი ატყობინებს ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რომ ორიოლში 8 სექტემბერს იხსნება თავად-აზნაურთა შვილებისათვის **თავ-შესაფარი - პანსიონი** და სთხოვს გახსნის დღესასწაულზე დასწრებას.

✦ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, 25 აგვისტოს ტფილისის მეორე საარჩევანო ნაწილის **ამომრჩევლებმა კერძო კრებაზედ გადასწყვიტეს** დაავალონ ამ ნაწილის კომიტეტს შეავსოს კანდიდატთა სია 25 კაცამ-

დე. კომიტეტმა გუშინ-წინ დაამთავრა ეს საქმე. ამ რიგად მეორე საარჩევანო ნაწილის კანდიდატებად დასახელებულნი არიან: ე. მ. ანანოვი, ი. მ. ალიხანოვი, ი. ი. ამირხანოვი, ს. ი. ანანოვი, თავ. ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკი, რახილბეკ-ახუნდოვი, თავ. ა. ა. ბებუთოვი, თავ. ა. ი. ბებუთოვი, ა. ს. ბექზადოვი, ა. ს. ბალდასაროვი (ბულდანოვი) ი. ს. ბულდანოვი, ა. ი. ვართანოვი, ა. ა. ვართანოვი, პ. ს. ლამბაროვი, პ. მ. დოლუხანოვი, ლ. გ. ევანგულოვი, რ. ა. იონესიანი, ვ. გ. კონდურალოვი, ი. ი. მარკოზოვი, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვი, ა. ი. მილოვი, ს. ზ. მირზოევი, ი. ე. პსაროვი, გ. ა. სტეფანოვი, მ. ა. სულიევი, ი. ა. სულხანოვი, ი. ა. თაიროვი გ. ზ. თამამშევი და ტ. ა. ენფიანჯიანცი. ეს სია უნდა დაეგზავნოს მეორე საარჩევნო ნაწილის ამომრჩევლებს.

✦ ხვალ, 1 სექტემბერს, ვეტცელის სასტუმროს დარბაზში დილის 10 საათზედ დანიშნულია კერძო კრება ტფილისის **მესამე საარჩევანო ნაწილის ამომრჩევლებისა** კანდიდატთა სიის შესამუშავებლად.

✦ ხონელებს ქაღალდი მიუღიათ ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსისაგან, რომ ხაზინისათვის სასარგებლო იქნება და შესაძლებლათ მიმაჩნია რკინის გზის შტოს გამოყვანა ახალ-სენაკიდან ან სამტრედიიდან, რომელიც გაივლის ხონზე და მივა ქუთაისსო.—ხონში განუზრახავთ ერთი მეტათ სიმპატიური საქმე: წარმოდგენების და თეატრის მტკიცე ნიადაგზე დასამყარებლათ ადგილობრივ განათლებულ პირებს უნდათ ქვის სათეატრო შენობის აგება; თეატრთან მოთავსებული იქნება სახალხო ბიბლიოთეკაც. ამ საგნის განსახორციელებლათ განზრახვა აქვთ მიბაძონ ყვირილის მაგალითს და გამოსცენ საამხანაგო პაიები. სულით და გულით ვუსურვებთ ხონელებს, მალე დაემშვენებინოთ ლამაზის თეატრით თავისი დაბა.

✦ სამტრედიიდან გვწერენ: „28 აგვისტოს, ღამე, 11½ საათზე, **ცეცხლი წაეკიდა** მატარებლების დეპოს. საშინელი სანახავი იყო ავარდნილი ალი და ბოლი. მთელი ბაზარი ფეხზე დადგა. ეშინიათ, ნავთის ქვაბები არ გასქდეს და სადგური არ დაანგრიოსო.“

✦ როგორც „ნოვოსტი“- იუწყება, უმაღლესს მთავრობას ლაპარაკი აქვს თურმე **რკინის გზის გაყვანის შესახებ რუსეთის საზღვრიდან სპარსეთის ყურემდე.**

✦ საქართველოს საეპარქიო მთავრობამ ხელ-ახლა მოახდინა განკარგულება, რომ **მოწმობანი დაბადებისა, ქორწინებისა და დასაფლავებისა უსასყიდლოდ მიეცეთ ხოლმე მთხოვნელთ.**

✦ კინტრიშის ნაწილის უფროსი თავ. **ლეონიძე** დანიშნულ იქმნა რაჭის მაზრის უფროსად.

✦ **ბათუმში მომხდარ არეულობის** საქმის გამო, როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, 100 მოწმეა თურმე დაბარებული.

ბრალდებულთათვის უკვე გადაუციათ საბრალმდებლო ოქმის პირი.

✦ ტფილისის ოლქის **სასამართლოს სესია ქ. გორში** საქმეების გასარჩევად მიემგზავრება ოთხშაბათს, 4 სექტემბერს; დაჰყოფს 18 სექტემბრამდე. სესიის თავმჯდომარედ იქნება სასამართლოს წევრი მაიგური, ხოლო წევრებად—ბ-ნი ტარსაიძე და გორის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე. შემდეგ 18-დან 30-სექტემბრამდე სესია გაემგზავრება ქ. ახალქალაქს და ქალაქ შულავერში.

✦ კახეთიდან გვატყობინებენ, რომ ზოგიერთ სოფლებში მცხოვრებთა ღორის კოლტებს ერთნაირი რაღაც ავადმყოფობა გასჩენია, რასაც დიდი ზარალი მიუყენებია მცხოვრებთათვის. ეს ავადმყოფობა იმდენად მუსრს ავლებს თურმე ღორს, რომ 600 ღორის პატრონს ზოგგან 6 ღორიც არ შერჩენია თურმე. ესევე ავადმყოფობა გასჩენია ღორებს ტფილისის მაზრის ზოგიერთ სოფლებშიაც.

✦ ტფილისის **საეპარქიო დედათა სასწავლებლის** პირველს კლასში მისაღები ეგზამენები დასრულდა. წელს მიღებულ იქმნა 48 ქალი, თუმცა მთხოვნელი უფრო ბევრი იყო.

✦ რედაქციამ მიიღო სამი ახალი წიგნი: 1) „ორგანიულ ბუნების მოვლენათა მიზეზები“, თომას ჰენრი ჰექსლისა, თარგმ. პ. სურგულაძის მიერ. წიგნში 7 სურათია მოთავსებული, შეიცავს იგი 208 გვერდს და ღირს მეტად იაფად—25 კაპეიკად; 2) „თარგი“, თხზ. დავით გივიშვილისა, ლექსებია წიგნში მოთავსებული: ღირს 25 კაპ. 3) „გასართობი“, იმერული სცენები, დ. მესხისა, ღირს 15 კაპეიკად.

✦ ამას წინად საქართველოს ეგზარხოსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გადაედვა საჭირო ფული ავლაბარში ფერისცვალების მონასტრის პირდაპირ მოსახვევ ქუჩის შესაკეთებლად, რადგანაც ეს ქუჩა უვარგის მდგომარეობაშია. ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ ორის დღის წინად განიხილა ამ საგნის შესახებ მოხსენება და გადასწყვიტა: შეატყობინოს ეგზარხოსს, რომ ქვაფენილი ქალაქში ყველგან მცხოვრებთა ხარჯით კეთდება და ამიტომ გამგეობა იქ ქვაფენილის გაკეთებას ვერ იკისრებს; რაც შეეხება მოკირწყვლას, გამგეობამ გადასწყვიტა გადაიდვას ამ საქმისათვის საჭირო ფული.

✦ გუშინ-წინ, 29 აგვისტოს, პოლიციის მე-5 ნაწილში, მუხრანიანთ ბორანთან მტკვრის პირზე შემდეგი ბოროტ-მოქმედება მოხდა: ღამის 2 საათი იქნებოდა აღნიშნულ კუთხის მცხოვრებნი გამოუღვიძებია რაღაც ხმაურობას, რომლის დროსაც გაქცეული კაცი დაუჭერიათ მეეზოვეებს. როდესაც დაკავებული კაცი მიუყვანიათ მეეზოვებს პოლიციის მე-5 ნაწილში, მორიგე მოხელეს პოლიციელი გაუტანებია მეეზოვებისათვის და დაუვალებია ენახა ის ადგილი, საიდანაც გაიქცა ის კაცი, რადგანაც შესაძლებელი იყო წასტეხოდენ კვალს, თუ მან რამე ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა. პოლიციელი და მეეზოვენი როცა მისულან ბორანთან, რაღაც ხროტინი შემოსმიათ. ასულან მაღლობზე და უნახავთ სულთმობრძავი კაცი, რომელსაც ყელში ბაწარი ჰქონდა წაჭერილი და იხრჩობოდა თურმე. მაშინათვე ხმაურობაზე გამოღვიძებულ იქვე მცხოვრებ პოლიციელის ოჯახიდან (პოლიციის მოხელე სამსახურში ყოფილა წასული) გამოუტანიათ დანა, გადაუჭრიათ ბაწარი და გაუნთავისუფლებიათ კაცი, რომელიც ისე იყო გალურჯებულ-მიკმენდილი, რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი არა ჰქონდა თურმე. სასწრაფოდ ეტლით გაუგზავნიათ მიხეილის სამკურნალოში, სადაც ექიმების მეცადინეობით კაცი იმდენად გამობრუნებულა, რომ თითონვე მისულა პოლიციაში და მთელი საქმის გარემოება შეუტყობინებია. როგორც გამოკვლეულა, ბოროტ-მოქმედებს და ამ კაცს (გვარი ვერ შევიტყვეთ) წინად ერთმანეთში რაღაც უსიამოვნება ჰქონიათ და პირველნი იმდენად გამწარებულან მაზე, რომ მოუნდომებიათ მისი სადმე მოკვლა. ამ საქმის გამო იმ ღამესვე დაიჭირეს ტფილისში მცხოვრები გ—გი ო—ვი და ერთიც კიდევ სხვა. საქმის გამოსარკვევად და ყველა ბოროტ-განმზრახველთა დასაპატიმრებლად სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

✦ პოლიციის მე-7 ნაწილში კაპეროვისა‘ დადეშტნისა, ლაზარევისა და მნაცაკანოვისა ქუჩებისა და კახეთის შოსეს მოკირწყვლა 27 აგვისტოს იჯარით მიეცა ტფილისის მცხოვრებს ბ-ნს ჩიქავაძეს.

✦ 26 აგვისტოს პოლიციის 1 ნაწილში ვერაზედ მეორე მსროლელთა დივიზიის უმფროსის გაკიჩკინისათვის მოუპარავთ ოქროს დიდი საათი.

✦ ვერაზედვე 250 ქვეითა ჯარის კაპიტანს პირისეოვს შეჰპარვიან კარავში ქურდები, რომელთაც წაუღიათ სხვა-და-სხვა ნივთები სულ 60 მანეთისა.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ 28 აგვისტოს საშინელი ქარი და მტვერი იყო; ქუჩაში გავლა მეტად ძნელი შეიქნა. ყოველი ფეხის გადადგმაზედ კაცს ან ქალს დაეჯახებოდით, რადგანაც მტვერის გამო თვალის გახელა არ შეიძლებოდა. ურიგო არ იქნება ასეთ შემთხვევაში ქუჩების მორწყვა.

✦ 26 აგვისტოს, ღამე, ბალახვანის ქუჩაზედ პალკოვნიკს ქ. ტ. ქაჯაიას მოჰპარეს ოქროს საათი და სხვა ძვირფასი ნივთები, სულ 380 მანათისა. საკვირველია, როგორ მოახერხა ქურდმა შეპარვა დაკეტილ სახლებში, სადაც მასპინძელი და სტუმრები იწვნენ.

ტფ. სათავად-აზნაურო ბანკის მოგების განაწილების პროექტი

როგორც იციან მკითხველებმა, უმაღლესის რესკრიპტის ძალით ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წმინდა მოგების ნაწილი, რომელიც ხმარდება სხვა და სხვა საზოგადო საჭიროებათ, ამიერიდან უნდა გაანაწილოს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებამ. 24 მომავალ სექტემბრისათვის დანიშნულს საგანგებო კრებას გასანაწილებელი აქვს სამი თანხა: საზოგადო საჭიროებათა—88.324 მან. 57 კაპ., სასოფლო-სამეურნეო—31.605 მან. 44 კ. და ექსტრაორდინალური—29.315 მან. 75 კაპ.; სულ—149.245 მან. 76 კაპ...

თანახმად ახლად დამტკიცებულის კანონისა, სათავად-აზნაურო კრებას უნდა წარედგინოს საქმეები, რომელნიც თავდაპირველად განხილულ უნდა იქმნან თავად-აზნაურთა წინამძღოლების და დეპუტატების განსაკუთრებულს რჩევისანგა; ამიტომ რჩევამ განიხილა წმინდა მოგების განაწილ საქმეც და შეიმუშავა შემდეგი პრ რომელიც განსახილველადა და და ცებლად წარედგინება თავად-აზნაურთა მაღალ საგანგებო კრებას. მოგვყავს აქვე ეს საყურადღებო პროექტი:

I **საზოგადო საჭიროებათა თანხა**—88.324 მან.*) განაწილებულია ასე:

1) ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას	69.597 მ.
2) იმავე სკოლას ბავშვების ტანისამოსებისათვის	5.000 „
3) ტფ. და თელავის წმ. ნინოს სასწავლებელთ	6.000 „
4) გორის საქალებო პროგიმნაზიას	1.000 „
5) ტფ. 1-ლ, მე-2 და მე-3 სავაჟო გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებელს	2.000 „
6) სამთავრისის დედათა მონასტრის სკოლას	600 „
7) სასოფლო სკოლების საჭიროებებზე	2.000 „
8) უმაღლეს, საშუალო და დაბალ სკოლების მოწაფეთა შემწეობაზე	2.127 „
	სულ—88.324 მან.

II **სასოფლო-სამეურნეო თანხა**—31.605 მან. განაწილებულია ასე:

1) წინამძღვრიანთ-კარის სკოლას	5.000 „
2) დანარჩენი	26.605 „

შენახულ უნდა იქნას იმ დრომდე, სანამ გადაწყდება საზოგადო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მოიხმარონ სასოფლო მეურნეობის თანხა.

III **ექსტრაორდინალური თანხა**—29.315 მან. ასე უნდა განაწილდეს:

1) იმ მოსწავლეთა შესაწევრად, რომელთა მშობლები მოუსავლობამ, ან სეტყვამ დააზარალა	4315 „
2) დაზარალებულ მემამულეთა საზოგადო საჭიროებისათვის	25.000 „
	სულ 29.315 მან.
	ყველა ერთად 149.245 მან.

რუსეთის ქრონიკა

✦ რკინის გზებზედ დღემდე არ არის გაწესრიგებული მოსამსახურეთა მუშაობის დრო. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობენ იმ წესებით, რომელიც სხვა-და-სხვა დროს იქმნა გამოცემული რკინის გზათა მთავარ-გამგეობის მიერ. ამ წესების ნაკლულევანება და უსრულობა ბევრჯელ აღნიშნეს რკინის გზის წარმომადგენელთა კრებებმა. ზოგმა მოსამსახურემ შეუსვენებლივ 18 საათი და მეტიც უნდა იმუშაოს, რაიცა, რასაკვირ-

---

*) კაპეიკებს აღარ აღვნიშნავთ.

ფელეტონი

ქიზიყის რამე-რუმე

ორი კაცის სიკვდილი.—ქურდი ხარები.—სიღნაღის კლუბის დაქვეითება.—უსკოლობა და უწიგნო-საცავობა.—სოფელმა კარდანახმა გაუსწრო ქალაქს.—წინანდელი და ეხლანდელი მაჩხაანი.—ქართული გალობა.

ქიზიყელ კაცზედ მოუფიქრებელი და მოუაზრებელი სხვა აღარავინა გვგონია საქართველოს კუთხეში. ხშირად მოუფიქრებლობით და წინდაუხედველობით საქმეს წააგებენ ხოლმე ქიზიყელნი და თავის გასამართლებლად ხიფათს ან წერას შემოახვევენ თავზედ. ამისთანა წერის მსხვერპლი შეიქმნა ქვემო მაჩხაანელი გლეხი მიხა მენთეშაშვილი. ეს უბედური ხეზედ ავიდა თურმე, თავს არ გაუფრთხილდა, ჩამოვარდა ძირს და იქვე სული განუტევა. ალბად, მაგისი წერა ეგ იყოვო, ინუგეშეს გული მისმა პატრონებმა და შეუდგნენ გამოსათხოვეელ ქელეხის გამართვას. „საქმეს წაახდენს რეგვენი, ფათერაკს დააბრალებსაო“, აბა სწორედ, ამაზედ უთქვამთ ძველად.

მენთეშაშვილი თუ მიზეზმა იმსხვერპლა, ზურაბაშვილი ილია ღმერთმა დასაჯაო, გაიძახოდნენ მეზობლები. მირზაანელი გლეხი ზურაბაშვილი, კარგად შეზარხოშებული კაცი, რაღაცაზედ აუხირდა თურმე თავის ამხანაგს—ცოლს, რომელიც, ცოტა არ იყოს, გაბრაზებულ გულზედ მკვახე ქიზიყურის სიტყვით გაუმასპინძლდა თავის ბატონ პატრონს. ქმარმა ცოლისაგან სიტყვის შებრუნება იუკადრისა, წამოხტა ფეხზედ, მოავლო კეტს ხელი და მიიწია ცოლთან გასატყეპად, მაგრამ ღონემ უმუხთლა, ჭაჭანაურმა მუხლი მოსჭრა თურმე, წაბარბაცდა, წაიქცა, თავი ტახტს დაარტყა და იქვე უსიტყვოდ, შეურიგებელი ცოლისა, გამოესალმა ამა წუთი-სოფელს და გაუდგა გზასა, მრავალთაგან თელილსა. სხვის დასჯა მოიწადინა და თავისი თავი დასაჯაო, ამბობენ სოფლის ფილოსოფოსნი.

იმავ 20 აგვისტოს კარდანახელმა გლეხმა თავისი შეურაცხმყოფელი ვ. ტ—შვილი დასაჯა იმ სასჯელით, რომლითაც ჯერ არც ერთ სამსჯავროს არ დაუსჯია დამნაშავე. აი საქმეს როგორ მოგვითხრობენ ამაზედ: ვ. ტ—შვილის საქონელში ერთი ხბო ავად გამხდარა, რომელიც იმის მოჯამაგირე ჩ—შვილს დაუკლავს. ამაზედ ტ—შვილმა გალახა მათრახით თავისი მოჯამაგირე. ჩ—შვილმა ვეღარ მოითმინა მათრახით ტყეპა, მოავლო იქვე მიყუდებულ ტ—შვილისავე ბერდანკის თოფს ხელი, შიგ ძუძუში დასცა თავის აღას და იქვე წუთი-სოფელს გამოასალმა. რაც რამ ქონება მებადა, მაგან წამართვა, ცოლ-შვილით მიმსახურა და თანაც უდივრად მცემდა ხოლმე, ერთხელ ძლივს დავახწიე თავი ბატონს და ახლა ისევ ჩემისთანავე გლეხი მბატონობდა, ვეღარ მოვითმინე ამოდენა უსამართლობაო, ამბობს თავის გასამართლებლად ჩ—შვილი. ვ. ტურიაშვილი კარგი შემძლებელი გლეხი იყო.

ქიზიყელები თუ მკვდრების მარხვას უნდებიან, ვილაც ციმბირიდან გამოქცეული თათრები კიდევ ბინებში დათარეშობენ, საუკეთესო ცხენებს იტაცებენ და ვისაც-კი მოახელებენ, ყველას სცარცვავენ. გაძარცვეს ხალხი ფიჩხის ბოგირზედ, დაიტაცეს ცხენები ბაკურციხის ბოლოდან და კოდალოსაკენ მიიმალნენ, ამბობს ამათი ისტორია. კიდევ კარგი, რომ „პატიოსანი“ ყაჩაღები იყვნენ, რადგანაც თავიანთი ცხენები ბინაზედ დასტოვეს. ესეც ‛კარგი ღვთისწყალობაა, სხვა ქურდები არამცთუ თავიანთ რამეს, მთლად ჯოგშიაც აღარას სტოვებენ.

მაგრამ რაღა ქურდობა და ტაცობა! მოდი ნუ იქურდებ, როდესაც ქიზიყში თვით ხარებიც კი თავიანთ თავებს იპარავენ. სიღნაღში ღამის მცველმა ერთ ყასაბს ორი ხარი წაართვა და როცა ჰკითხეს, ვინ მოგცა ხარებიო, თამამად მიუგო, ეს ხარები თითონ მოდიოდნენ უპატრონოდაო. ჩვენ გაგვიგია, რომ ზოგიერთ კაცს ცხენი იპარავს ხოლმე, მაგრამ ხარებს რომ თავისი თავი მოეპაროთ, პირველად გვესმისო. შეუდგნენ სინამდვილის გაგებას და აი რა აღმოჩნდა. 22 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, ქუჩის მცველს შეუნიშნავს, რომ ყასაბი ქუჩაში ვიღაცას ელის. ექვი აუღია და შორი-ახლოდან თვალ-ყური უდევნებია. მალე გამოჩენილა ორი ხარი და ორიც ვიღაც კაცი. როცა ეს კაცები ყასაბთან მოსულან, ამათ სამივეს ჩურჩული დაუწყიათ და ხარები ყასბის ბინისკენ გაურეკიათ. მცველი დადევნებიათ უკან, მაგრამ იმათ მალე შეუნიშნიათ და გაქცეულან, მხოლოდ ხარებთან ყასაბი დარჩენილა. საქმის ახლო გაჩხრეკამ აღმოაჩინა, რომ ეს ხარები იმ ბოდბისხეველ გლეხს მოუპარნიათ იქვე ახლო სოფელ ასანუხში და ამ ყასაბთან მოურეკიათ, რომ ამავე ღამესვე დაეხოცნა ამას, მაგრამ მალე მოუსწრია ღამის მცველს და გაქცეულან.

მაინც სიღნაღში, ამ ქიზიყის დედა ქალაქში, სულ უცნაური რამეები ხდება. 30 წელიწადი სიღნაღში კლუბი არსებობს, ოცდა ათი წლის განმავლობაში ჟურნალ-გაზეთებს იწერდნენ, გაზეთებს დამატებები მოსდევდა, ერთხელ სხვისა წიგნთ-საცავიც იყიდეს და ახლა ოცდა ათი წიგნიც არ მოიპოვება, თუმცა დიდი ხანია არც ჟურნალსა კითხულობდა ვინმე და არც წიგნს. ვერ ნახავთ ვერც ერთის წლის ჟურნალს მთლად, რომ ერთი ნომერი მაინც არ აკლდეს. აი ახლა გამოუჩნდნენ გულ-შემატკივარნი და წარმო-

ველია, მეტად და მეტად ძნელი[illegible]გზათა სამინისტრომ, მიიღო რა მხედველობაში ეს გარემოება, ამას წინად მოსთხ[illegible] ხელქვეით დაწესებულებებს ცნობებ[illegible]ვა-დასხვა მოსამსახურე-მოხელეთა [illegible]შაოს დროს შესახებ და იმათი აზრი—რ[illegible]ენად და როგორ არის სასურველი ამ დრ[illegible] შეცვლა. მიღებულ პასუხებისა და ცნ[illegible]ის [illegible]მუშავებას ამ შემოდგომაზედ შეუდგ[illegible].

[illegible] გზათა სამინისტრომ გადასწყ[illegible] [illegible]ობესოს ეგრედ წოდებულ გზის [illegible]სანთა (დოროჟნი მასტერი) მდგომარეობა. ამიერიდან ამ ხელოსანთ რკინის გზებზედ მეორე კლასით შეეძლებათ მგზავრობა. მათთვის შემოღებული იქმნება განსაკუთრებული ფორმა და მათი ქონებრივი მდგომარეობაც გაუმჯობესებული იქმნება.

◆ გზათა სამინისტრომ კონკურსი გამოაცხადა იმათ დასაჯილდოვებლად, ვინც რკინის გზის სკოლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოებს შეადგენს.

◆ მოსკოვში დაარსდა ქალებისათვის კერძო საკომერციო სასწავლებელი. შემოდგომაზედ გაიხსნება მხოლოდ მოსამზადებელი და პირველი კლასი. სულ სასწავლებელში შვიდი კლასი იქმნება. მოსწავლე ქალებს ეს სასწავლებელი საზოგადო განათლების გარდა სპეციალურ ცოდნასაც შესძენს. სწავლა დამთავრებულ ქალთ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ისეთივე უფლებანი ექმნებათ, როგორიც დღეს დედათა გიმნაზიაში კურს დამთავრებულთა აქვთ. სასწავლებელთან პანსიონია. წლიური ფასი შემდეგია: სწავლისა—150 მან., საუზმისა—50 მან. და მუსიკის სწავლებისა—50 მან.

◆ სამოქალაქო ინჟენერთა ინსტიტუტში 23 აგვისტოს დამთავრდა მისაღები ეგზამენები. სულ ეგზამენს იჭერდა 550, მიიღეს 78 მოსწავლე. ეგზამენები დამთავრდა აგრეთვე სატეხნოლოგო ინსტიტუტში. იჭერდა ეგზამენს 1000, მიიღეს 270 კაცი.

◆ პეტერბურგში არსდება ახალი საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც აზრად ფერშლებისა და ბებია-ქალების დახმარება ექმნება.

◆ გზათა სამინისტრომ გადასწყვიტა დააარსოს რკინის გზებზედ დაბალი სკოლები მოსამსახურეთა შვილებისათვის.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტად ნამყოფს პეტროვს ნება მიეცა გამოსცეს პეტერბურგში ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „Миръ“.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტში მიღებულ იქმნა 1,100-მდე ახალი სტუდენტი.

◆ „გაზ. პოლსკ.“-ს თავისი კორესპონდენტი ბ-ნი ორენშტეინი გაუგზავნია მინსკში, სადაც სიონისტთა კრებაა. ეხლა გაზეთს ატყობინებენ: „როდესაც კორესპონდენტი სიონისტთა კრებაზედ შევიდა, ბრბო მიჰვარდა და ცემა დაუწყო, ასე რომ პოლიცია ჩაერია საქმეში. ნაცემი ორენშტეინი ვარშავას დაბრუნდა“.

◆ ამ წლის დამლევს მოხდება აღწერა რუსეთის რკინის გზების მცხოვრებთ, როგორც თვით მოსამსახურეებისა, ისე იმათის ოჯახებისა.

პრესსა

ჩვენს გაზეთში ამას წინათ მოყვანილი იყო გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ის სამართლიანი აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა კავკასიის გიმნაზიებში სავალდებულო იყოს ერთ-ერთის ადგილობრივის ენის სწავლებაო.

რასაკვირველია, ასეთს სეპარატულს „ოცნებას“ უყურადღებოდ არ დასტოვებდა ყოვლისავე სამართლიანობის ისეთი მდევნელი, [illegible]გადობის გამხრწნელი და ერთა მჭამე[illegible] ბატონი, როგორიც ბრძანდება სუვორინი. [illegible] უკანასკნელის ორგანოს „ნოვ. ვრემია“ 9509 №-ში დაბეჭდილია ყოველ ადამიანის ღირსების შემლახველი, შენიშვნა „ნოვ. ობოზ.“-ს წერილის გამო.

„ადგილობრივის ენის შესწავლა რის მაქნისია[illegible] მოხელეთა დიდი უმრავლესობა (?) ხომ კავკასიელები არიან (ამას ამტკიცებს ღირსეუ[illegible] პალმის „საბუთებით“!) და ადგილობრ[illegible] ენის შესწავლა ვიღას სჭირიაო!

კავკასია[illegible] ურიცხვი ენაა. ყოველ პატარა ჯგუფს თავ[illegible]ენა აქვს და რომელი უნდა ვასწავლოთ[illegible]კითხულობს სუვორინის გაზეთი ირონი[illegible] და ავიწყდება, ან სრულიათ არ იცი[illegible] რომ კავკასიაში გავრცელებულია ს[illegible]ნა—ქართული, სომხური და თათრული, [illegible] კავკასიელნი იმითაც კმაყოფილნი იქნები[illegible]ნ, თუ ამ სამს ენას მაინც მიეცემოდა [illegible]ოვანი უფლება.

მაგრამ სუვორინ[illegible]ნა ბატონების თვისებაა, ყველა კავკასი[illegible]ერი და ტომი დაიცვან, რომ ამით ყველა მოსპონ ერთათ. ასე, ამ მიზნით არ ი[illegible]მუდამ პალმი აფხაზურს, ლაზურს და მ[illegible]ლს?..

მერე, განაგრძობს [illegible]ოვოე ვრემია“: როგორ შეიძლება კავკა[illegible] ენების შესწავლა, როდესაც არც ერ[illegible] კავკასიურ ენაზე არ არის არც ხეირიან[illegible]ერლობა, არც გრამატიკა, არც სახელმძღ[illegible]ოებიო!..

ასეთის „საბუთებით“ არ[illegible] სუვორინის გაზეთი ჩვენს მოთხოვნილებ[illegible] მაგრამ ამ გაზეთს რათ უნდა საბუთები, [illegible]ბუთები მეცნიერული, ლოგიკური, ადა[illegible]ური?!. მას სხვანაირი საბუთები აქვს და ძ[illegible]ლის ხმით ჰყვირის: თქვენ არავითარა უფ[illegible]ა არა გაქვთო!..

⁂

ჟურნალ „რუსსკ. მისლ.“-ის უკანასკნელ №-ში (აგვისტოსა) დაბეჭდილია ა. ხახანაშვილის წერილი „საქართველოს [illegible]ველი და ძნელი დრო“. წერილი არჩევს ჭ[illegible]ძის რომანს „სურამის ციხეს“.

დაბა-სოფლები

გაგრა (აფხაზეთი). ჯერ ერთი წელიწა[illegible] არ არის, რაც გაშ[illegible]და ახალი გაგრა. ქალაქი ადგილი ყველაფრით შემკულია. წარმოიდგინეთ—ერთის ვერსის სიმაღლის მთა, რომელიც ზღვას დაჰყურებს. აი, ამ მთასა და ზღვას შუა ახალი გაგრა. როდესაც გაგრას უახლოვდებით, მთის მეტს ვერაფერსა ჰხედავთ; მაგრამ როცა გამოხვალთ რიყეზე, თქვენ თვალს იპყრობს დიდი სიმაგრე, რომლის კედლების სიმაღლეც სამი საჟენია, ხოლო სისქე ორი არშინი. ამ სიმაგრის შესავალთან აუყუდებულია ხუთი ზარბაზანი, რასაკვირველია, ძველებური. ოცს აგვისტოს ამ სიმაგრეში წყლის მილის დამგებმა მუშებმა თხრის დროს ორი ძალიან დიდი ზარბაზანი იპოვნეს, მიწაში დაფლული. ჰფიქრობენ, რომ აქ სხვა საომარი იარაღი და სხვა ნივთებიც უნდა იყოს.

სიმაგრის მახლობლად მაღლობზე წამომდგარა ჯერეთ დაუსრულებელი ორ-სართულიანი სახლი, რომელიც პრინცის სასახლედ შენდება. მთაში გზა მიდის, რომლის კიდეებზე უკვე დასობილია ბურჯები ელექტრონის ფარნებისათვის. ასის საჟენის მანძილზე გაჭიმულია სასტუმრო და რესტორანი, რომელშიაც ამ შემოდგომაზე მზად იქნება მშვენივრად მოწყობილი სცენა. ახლა გადავიხედოთ მთიდან ძირს, ქვევით, ზღვის ნაპირას, მშვენიერი ბაღია გაჭიმული. ნახევრის ვერსის მანძილზე ბულვარია, ერთის ვერსის მანძილზე კიდევ მოკენწლული გზა მიჰყვება აქეთ-იქით ბულვარით. მახლობლადაა თამბაქოს პლანტაცია, მერე ჩაის პლანტაცია, ხეხილის ბაღი და შემდეგ ბოსტანი.

—

ქვემო-ხევი (მთა). როგორც ადგილ-მდებარეობა გაირჩევა, ისე ადამიანთა ცხოვრება აქ სულ სხვანაირია. საზოგადოდ ქვემო-ხევში ჰავა მშვენიერია; მაგრამ მარტო ჰავა რას უშველის იმ ხალხს, რომელმაც მკურნალობა სულ არ უწყის. იშვიათია თუ რომ ვინმემ ავადმყოფი ექიმთან ან ფერშალთან წაიყვანოს, ან კიდევ ექიმი მოიწვიოს. ვინ მოკვდა შეძლებაო, გაიძახიან ყველანი და ის-კი ავიწყდებათ დალოცვილებს, რომ ცრუ-მორწმუნოება და მკითხავ-მარჩიელნი უფრო ხარჯსა და უბედურობაში აგდებენ. ავად რომ ვინმე გახდეს, ექიმს სულ არ მოიგონებენ; გარბიან სოფ. კარკუჩას ერთ სახელ განთქმულს მკითხავ გაგა უამარაულთან. აიღებენ სანთელს, რომელსაც ავადმყოფმა ხელი უნდა ახლოს, და გაემგზავრებიან ბატონ გაგა უამარაულთან, მიართმევენ სანთელს დიდის მოწიწებითა და მოკრძალებით და თან ეტყვიან, გთხოვთ გვიკურთხოთ, ძალიან ავად არისო და სხვა. ამ სანთლით იწყებს მკითხავი მკითხაობას. ხშირად მოჰყვება ხოლმე კანკალს, ტუჩების ლოკვას და ბოლოს ამბობს: წმიდა გიორგი გიწყრებათ, ნათლის მცემელი გიწყრებათო და სხ. შეუკვეთს ხატებს შესაწირავს ერთ ჭედილას, ზედაშეს და კელაპტარს. საწყალი ავადმყოფი კი სწუხდება უპატრონობითა და უწამლობით. ვინ იცის, რამდენი გამოესალმა ამ გვარად დეკანოზების წყალობით წუთი-სოფელს.

ასეთია ამ სოფლების ცხოვრება და უთუოდ ასევე დარჩება დიდ ხანს.

მადური.

წერილი ბათუმიდან

მეაგარაკეთა ჩამოსვლა.—თეატრი და სამკითხველო.—ქალები.

მშვენიერი სანახავია ეხლა ბათუმი. წელს საავარაკოდ დიდ ძალი ხალხი წავიდა; უმრავლესობა მახლობელ აგარაკებში დაბინავდნენ: ქობულეთს, ჩაქვსა და მახინჯაურში; ასე რომ ქალაქი ამ ორ თვეს ძლიერ მოწყენილი იყო. ოცი აგვისტოდან დაიწყეს დაბრუნება. დიდ სიხარულსა ჰგრძნობენ როგორც დაბრუნებულნი, ისე დამხვედრნი, თითქოს ერთი წელიწადი ერთმანეთი არ ენახოთ. ეხლა ქუჩებში მოძრაობაა. გაჭირობამაც შესამჩნევად იმატა. მოსწავლენი ჩამოვიდნენ. სტუდენტებიც ბევრი გვესტუმრა, ისინი, რომელნიც რუსეთისაკენ მიემგზავრებიან.

ყველას შემჩნეული აქვს, რომ ჩვენში, როდესაც რაიმე საქმეს დაიწყებენ, ყველანი დიდის ხალისით ეგებებიან, მაგრამ გაივლის პატარა ხანი და გულგრილობისა და დაუდევრობის წყალობით დაწყებულ საქმეს ან ბოლო ეღება სამუდამოდ და ან ისე სალოდავად ჰლაფავს სულს, რომ მისი არსებობა სასიკვდილოდ გამზადებულ ადამიანს მოგაგონებთ. სწორედ ასეთი საქმე დაემართა ბათუმის სცენის მოყვარეთა წრეს, რომელმაც კარგა ხანია თავი დაგვიკრა. ასევე მოუვიდა ერთად-ერთ სამკითხველოს, რომელიც უკვე დაიკეტა. ამნაირად ჩვენი „გაევროპიელებული“ ბათუმი მოკლებულია ისეთ დაწესებულებებს, როგორიც თეატრი და სამკითხველოა.

გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდებიან გარედან მოსულნი, რომელთაც ნაცნობები არა ჰყავთ. თეატრი და სამკითხველო არ არის, ამიტომ ერთად-ერთი ქალაქის ბაღი-და რჩენიათ.

დღეს თითქმის ყველა ქალაქში ქალები მუშაობენ, აარსებენ სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, საკვირაო სკოლებს, სამკითხველოებს, ადგენენ იაფ-ფასიან სახალხო წარმოდგენებს და სხვა. ჩვენი ქალები კი ამ შემთხვევაში არავითარ ხალისს არ იჩენენ. სასურველი კია, ჩვენმა ქალებმაც მოჰკიდონ რამე საქმეს ხელი.

დათიკო ნემ.

უცხოეთის წვრილი ამბები

კატა და გველი შეებრძნენ. აღწერს ერთი ინგლისელი ჟურნალი. ეს შემთხვევა მადრასში (ინდოეთშია) ყოფილა და ამის დამსწრე ოთახში მჯდარა, როცა გარედან ხმაურობა შემოესმენია. ამ ხმაურობაზე გარეთ გასულა და დაუნახავს თავისი თეთრი კატა, რომელიც მზად იყო მტერს თავს დასცემოდა, მხოლოდ მტერი არსად სჩანდა. სახლის პატრონმა კატას დაუძახა, უნდოდა მოეშორებინა მკვდარის თაგვისაგან (იმას ეგონა მკვდარი თაგვის აღებას ემზადებოდა კატა). კატამ გაუგონა თავისს პატრონს, თითქოს უნდოდა მას გაათავოს მტერთან საქმეო. მტერიც შხამიანი გველი აღმოჩნდა. შესანიშნავი ის არის, რომ სახლის პატრონმა გველი სრულებით უძრავად ნახა, თითქოს ჰიპნოზს მისცემია. რამდენისამე წუთის შემდეგ გველი დაიძრა, მაგრამ დიდის გაჭირვებით. დასძრა კატამ გველი თუ ჰიპნოზით დააძინა? ადვილად შესაძლებელია, რომ ეს ასე იყოს. საზოგადოდ, კატას არ ეშინია გველისა. დაინახავს თუ არა გველს, კატა წამსვე თავს დაეცემა და მოჰკლავს, თვითონ კი უვნებლად რჩება. ისიც შესაძლებელია, რომ გველი შხამს ასხამს კატას, მაგრამ

დგენაც გამართეს წიგნთ-საცავის გასამართავად და ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად.

ეს კიდევ რაა, ამ ათის წლის წინად საკრებულოს საქმე სდუღდა თურმე დაგადმოდიოდა. ახლა? ახლა კი ძალიან დაქვეითდა და ლამის გამოესალმოს წუთი-სოფელს. რაც მეტი დრო და ხანი გადის, იმდენი წევრები აკლდება და თუ ძალად არ ჩაეწერათ, წელს კლუბი უწევროდ დარჩებოდა. ყველა ამას გარდა ვალიც დაატყდა კლუბს. იქამდინ მივიდა საქმე, რომ სახლის ქირაც ველარ გაუსტუმრებიათ. ახლა ხელმძღვანელობა და საქმის მოგვარება ადგილობრივმა მოსამართლემ იკისრა. ძალიან სცდილობს და მხურვალედ ეკიდება საქმეს, მაგრამ მაინც არა გვჯერა, რომ კარგი მიტირალი მკვდარს გააცოცხლებდეს.

სიღნაღი ძალიან ჩამორჩენილია. ეს კურთხეულ ქალაქში დღემდის არც საერო სამკითხველო, არც წიგნთ-საცავი და წიგნის მაღაზია არ არსებობს. დღეს მოთხოვნილებაც არის წიგნთ-საცავისა, მხოლოდ ინიციატორი არის საჭირო. ყველას არ შეუძლიან ამ საქმის მოგვარება, რადგან ძალიან ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზები ეღობება წინ ამ საქმეს. საჭიროა ეს საქმეც მოხსენებულმა მოხელემ იკისროს. სრული იმედი გვაქვს, რომ საქმეს დააგვირგვინებს.

მაგრამ რა წიგნთ-საცავ-სამკითხველო, როდესაც სიღნაღში სამრევლო სკოლაც-კი არ არსებობს, თუმცა დიდი მოთხოვნილება კია. ამას აშკარა ჰყოფს ის გარემოება, რომ ქალაქში რამდენ ალაგას ნახავს კაცი ყმაწვილებს უწინდებულ ოსტათთან, რომელიც ისევ ძველებურის წესით ასწავლის წერა-კითხვას, გარნა იმ განსხვავებით, რომ ძროხის ბეჭი ახლა ასპიდის დაფამ დაიჭირა და ლერწმის ჩხირისა კი—ფოლადის კალამმა. მართალია, არსებობს სიღნაღში სამაზრო სასწავლებელი, მაგრამ ჯერ ერთი—ყველა მსურველს ვერ იტევს და მერე—ყველას არ შეუძლიან 18 მანეთის სწავლის ფულის გადახდა. ამავე მიზეზით ვერ აშორებენ ყმაწვილებს ლიონოზოვის სახელობაზე გამართულ სკოლაში.

სიღნაღს დიდი ხანია სოფელმა გაასწრო წინ თვით-ცნობიერების გზაზე. სოფელ კარდანახში კარგა ხანია არსებობს სამინისტრო, სამრევლო და საკვირაო სკოლები, მუდმივი თეატრია და წიგნთ-საცავი სამკითხველოთი. ახლა ხომ სახალხო წარმოდგენებსაც მართავენ. რამდენიმე წელიწადია კარდანახში შესდგა სცენის მოყვარულთა წრე. ამათი მეცადინეობით დაარსდა სამუდამო სცენა. წიგნთ-საცავს საკუთარი შენობა შესძინა და რამდენჯერმე გაჭირვებულ ახალგაზრდა ყმაწვილთაობასაც აღმოუჩინა დახმარება. ამ ზაფხულის მიწურულში [illegible] ამართეს უფასო წარმოდგენა. წარმოდგენა [illegible]რთო და გაშლილ მინდორზედ იყო და [illegible]რიან დიდი ხალხიც დაესწრო. თითქმის [illegible]ლ სოფელს მოეგლიჯნა თავი და აქ [illegible]ულიყო საყურებლად. ვინც დაესწრო, დ[illegible]ს კმაყოფილებით დაბრუნდა სახლში; ვის[illegible] ვერ გაეგო და დამსწრეთაგან შეიტყო, თუ [illegible]ში იყო საქმე, ისინი დიდი ნაწყენები არია[illegible] რომ ვერ გაიგეს და დასცდნენ სიამოვნე[illegible]. თუ ასე გაისარჯნენ სცენის მოყვარენი, [illegible]ლე ხალხის ნდობასა და სიყვარულს დაიმსახ[illegible]ებენ, ხალხს სცენას შეაყვარებენ. რადგან [illegible]არმოდგენას ხარჯი აქვს, ამიტომ შეიძლება [illegible]კირე რამ სასყიდლისა დაწესდეს თუნდაც [illegible]ა ყოფილობით შემოწირულებისა შეძლებულ[illegible]ვან, რომლებიც ცოტანი არ არიან კარდახში.

კარდანახმა სიღნაღს წინ გაასწრო, ხოლო მაჩხაანი მთლა შეარცხვინა. ვის არ ახსოვს, რა დიდის ამბ[illegible] ამცნეს ქვეყანას ამ რამდენისამე წლის წ[illegible]ად თავიანთი არსებობა და რა ყოყოჩობით [illegible]ულობდნენ პირველობას ქიზიყში. ეს დეპო, ეს წიგნთ-საცავი, ეს ბაღი სასეირნო დ[illegible] თეატრიც-კი დავაარსეთ, საკუთარი შენობაცა ვაშენეთო და კვირაში ორჯელ თუ არა, მ[illegible] კვირა მაინც გვექნება წარმოდგენაო. დეპომ თქვენი ჭირი წაიღო, დაუმარხველ[illegible]-კი დარჩა და მისი ნარჩენი ფარჩეულ-ჩიიბი წელს ზაფხულს სიღნაღში [illegible] დუქანში გაიყიდა. დეპოს მხოლოდ „ვივესკა“ ღა შერჩა თავის სავაჭრო ალაგზედ და ისიც, ალბად, იმიტომ, რომ უპოლიციოდ არავის შეუძლიან მისი ახსნა. თეატრის შენობა სულ აბლაბუდეების ქსელით ნახეს გაბმული ამ ზაფხულს, ხოლო სადაც-კი თავისუფალი კუთხე იყო, იქ კიდევ კრუხ ჰუჰულას დაებინავებინა. წელს გაიხსენეს ეს თეატრი.

ამ ზაფხულს მაჩხანელებს მივიწყებული წიგნთ-საცავიც გაახსენდათ. შეიყარნენ ქალნი და კაცნი, განიზრახეს ძველის მკვდრის გაცოცხლება და ძველი წიგნების მოძებნა. იგონეს, იგონეს, მოიგონეს ვის ხელში უნდა ყოფილიყო წიგნთ-საცავი და წიგნები, იკითხეს, გამოიკითხეს და მიაგნეს რამდენსამე ობ-მოკიდებულ წიგნს. წიგნების ძებნაში ფულებიც აღმოაჩინეს. 150 მან. ფული ყოფილა გაბნეული სხვა-და-სხვა კაცის ხელში. ბაასი და კამათი კრებაზე დიდი იყო. ზოგმა რა სთქვა, ზოგმა კიდევ რა. ერთმა ორატორმა-კი ისიც-კი სთქვა, რომ ჯერ ორ-სართულიანი შენობა ავაგოთ და მერე წიგნებისთვის ვიზრუნოთო. მაგრამ მომეტებულნი იმ აზრისანი იყვნენ, ჯერ წიგნები იყიდონ. ასე გადასწყვიტეს. აირჩიეს მდივანიც და მიანდეს იმას კატალოგის შედგენა.

ერთი ნახტომი წელს ბოდბისხევშიაც მოგვივიდა. მარიამობის დღეობას ეკკლესიაში გალობდა ბ-ნ ან. ბენაშვილის ლოტბარობით ქალების ხორო. ბ-ნ ბენაშვილს რამდენსამე დღეში დაესწავლებინა მწყობრი გალობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერჩება კატას და ვნებას არ აძ[illegible]. მეორედაც თუ მიასხამს შხამს, მეორედ ხომ იმდენი ძალა აღარა აქვს შხამს, რომ მოწამლოს კატა.

ამგვარადვე ემართება ფრინველებსაც. იგივე ჟურნალი სწერს, რომ ერთხელ ქათამმა მეტად შხამიანი გველი დაიჭირა, ნისკარტი შუა ტანზე მოავლო გველს. გველიც რგოლივით შემოეხვია ქათამს კისერზე, ცდილობდა ეკბინა, მაგრამ შხამი, როგორც ეტყობა, ბუმბლს მიასხა და ველარ გაატანა ხორცამდე. მანამდე კი ქათამმა ნერვების ცენტრი დაუგლიჯა გველს და რამდენისამე ხნის შემდეგ ესეც უძრავად დარჩა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 აგვისტო

პეტერბურგი. 28 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე მემკვიდრე, დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კურსკში გაემგზავრნენ ალლუმებზე დასასწრებლად. მათთან ერთად კურსკს წავიდნენ სასახლის მინისტრი და უმთავრეს შტაბის უფროსი გენ.-ლეიტ. სახაროვი.

29 აგვისტოს პეტრე-პავლეს საკრებულო ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი იმპერატორების ალექსანდრე მე-II და ალექსანდრე მე-III სულთა მოსახსენებლად.

22 აგვისტოდან 27-მდე მიღებული ცნობები ამტკიცებენ, რომ ხოლერა თან-და-თან სუსტდება და ისპობა: 18-დან 24 აგვისტომდე ბლაგოვეშჩენსკსა და ხაბაროვსკში ავად გახდა შვიდშვიდი კაცი; ვლადივოსტოკში—48; პორტ-არტურში 19 და 20 აგვისტოს სულ ავად გახდა 13 კაცი.

ოდესაში 24-სა და 25 აგვისტოს კიდევ გამხდარა ავად შავი ჭირით 2 კაცი; ასე რომ ოდესაში 28 მაისიდან სულ 17 კაცი გამხდარა ავად საშინელ ავადმყოფობით.

დღეს საზღვარ-გარედ გაემგზავრა საფრანგეთის ელჩი მარკიზ მონტებელლო.

კოპენჰაგენი. ხელმწიფე დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა და საბერძნეთის მეფემ დრაგერის ახლო მიეგება მეფე ხრისტიანე თავის [illegible]ით; მათი უდიდებულესობანი და კრონპრინ[illegible]რთად წავიდნენ ბერნსტორფისაკენ.

[illegible]რიოლი. დღეს საგანგებო მატარებლით [illegible]ზავრნენ კურსკს დიდი მთავრები მიხეილ [illegible]ლოზის ძე და სერგი ალექსანდრეს ძე.

კურსკი. აქ ჩამოვიდნენ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე.

კიევი. ექვს ტუსაღს, მათ შორის 3 კატორღაში გასაგზავნს, გაქცევა უნდოდათ საპატიმროდან. გაარღვიეს კედელი, გავიდნენ ეზოში და ბაწრით უნდოდათ ღობეზე გადასვლა; მაგრამ დარაჯმა დაინახა, ისროლა თოფი და ერთი ტუსაღი ფეხში დასჭრა; მაშინ ყველანი დაიჭირეს.

კიევი. 2 სექტემბერს დანიშნულია პირველი სხდომა სასოფლო-მეურნეობის საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტისა.

როსტოვი-დონზე. საზღვაო სასწავლებელთან ქალაქი აარსებს ზღვაოსნობის სკოლას კოცებუს სახელზე.

ავსტრ-უნგრეთის საკონსულომ განაცხადა, საქონლის გამოყვანაზე ავსტრიიდან საქონელს არ გამოგზავნიან, რადგან რამდენიმე სული ქათათი გახდა ავადათ.

ვარშავა. ერთმა აქაურმა სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობამ საკითხი აღძრა შეაერთონ ყველა ამხანაგობანი, რომელთაც საგნად აქვთ სამეურნეო იარაღების შეძენა.

სმოლენსკი. აქაურ რეალურ სასწავლებელმა 25 წლის არსებობის იუბილეი იდღესასწაულა.

მოსკოვის სამოსამართლო პალატის სესიამ დაიწყო სმოლენსკის საპატიმროს ტუსაღთა საქმის გარჩევა; მამაკაცთ არეულობისა და უწესობის მოხდენა ბრალდებათ, ქალებს—დოკვინოვასა და მიხაილოვას—ზედამხედველ ქალთა დახრჩობა.

ტულუზა. ალლუმის დასრულების შემდეგ ანდრემ საუზმე გაუმართა უცხოელ აფიცერთ. ანდრემ მადლობა გამოუცხადა ასტურიის პრინცსა და უცხოელ აფიცერთ და მათი სადღეგრძელო დალია. ასტურიის პრინცმა სთხოვა გადაეცეს პრეზიდენტსა და მინისტრს მადლობა კარგის მიღებისათვის; ბოლოს პრინცმა დალია პრეზიდენტის სადღეგრძელო და ადიდა უცხოელ საფრანგეთისა და მის სახელოვანს მხედრობას.

პარიზი. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა სამსახურიდან გადააყენოს პოდპოლკოვნიკი სენრემი.

ჰააგა. ლონდონიდან ჩამოვიდნენ ბურების [illegible]

29 აგვისტო

ხარბინი. პორტ-არტურის ნაწილზე, იანტაისა და დლიაოიონის შუა მატარებლების მიმოსვლა მარხვის გამო (?) ორის კვირით შეწყდა.

ნიკოლაევი. ზღვაში ჩაუშვეს ახალი ნაღმიანი გემი, რომელიც რუსეთში და რუსეთის მასალიდან არის გაკეთებული.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წესები, უმაღლესად დამტკიცებული უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლეს სასწავლებელთათვის: ყოველ კურსისთვის დანიშნული უნდა იყოს პროფესორთაგან „კურატორი“ (მზრუნველი); კურატორს, რომელსაც უნივერსიტეტის საბჭო ირჩევს, ნება აქვს თავის კურსის სტუდენტებთან საუბრები გამართოს ხოლმე; ყველა კურატორები სასწავლებლის უფროსის თავმჯდომარეობით შეადგენენ კომისიას სასწავლებლის სხვა-და-სხვა საქმეების გასარჩევად. აკრძალულია ყველა სტუდენტებისა ან ერთის ფაკულტეტის სტუდენტების საზოგადო კრება; ხოლო ერთის კურსის სტუდენტების კრება მოხდება რექტორის ნებართვით. სტუდენტებს ნება ეძლევათ ყოველ კურსზე თავისი მამასახლისები აირჩიონ. ნება დართულია სამეცნიერო და სალიტერატურო წრეების დაარსებისა პროფესორების ხელმძღვანელობით. სადისციპლინო საუნივერსიტეტო სასამართლოს შეუძლია შემდეგი სასჯელი მიუსაჯოს დამნაშავე სტუდენტებს: 1) შენიშვნა, 2) საყვედური, 3) აკრძალვა კურსის კრებაზე მონაწილეობის მიღებისა, 4) მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ სასჯელთა გარდა ზნეობრივი საყვედური, 5) სასწავლებლიდან გამორიცხვა რამდენისამე ხნით, 6) გამორიცხვა ვადის განუსაზღვრელად და 7) გამორიცხვა და სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის აკრძალვა. სასწავლებლის უფროსს შეუძლია შემდეგი სასჯელი მიუსაჯოს დამნაშავეთ: 1) შენიშვნა, 2) საყვედური, 3) რამდენისამე ხნით სასწავლებელში მოსვლის აკრძალვა და 4) წინადადება უნივერსიტეტიდან გასვლის შესახებ.

„რუსსკ. ინვალიდ“-ში დაბეჭდილია, რომ 29 აგვისტოს დაიწყო დიდი ალლუმი კურსკში; სულ 90 ათასი ჯარის კაცი იღებს მონაწილეობას.

29 აგვისტო.

ბათუმი. გუშინ იქ, სადაც ქარხნებია, ბოროტ-განმზრახველნი თავს დაეცნენ მგზავრს ბაგანიდიანცს. ბოროტ-განმზრახველთ წაართვეს 1,000 მანეთი. ტყვია ესროლეს კასსირს, რომელიც დასჭრეს.

ლონდონი. პრესსის კავშირის წარმომადგენელნი ჩემბერლენთან იყვნენ. იმათა სთქვეს, რომ ბურების გენერლები თხოულობდნენ, ნება მისცენ ბურთა ემიგრანტები ქვეშევრდომობის ფიცის მიუღებლად დაბრუნდნენ სამშობლოში. გენერლები შუამდგომლობდნენ იმ დანაპირის ასრულებისათვის, რომ ბურთა რესპუბლიკების ზოგიერთნი თანამდებობის კაცნი ასეთსავე თანამდებობებზედ იქმნენ დანიშნულნიო. ჩემბერლენმა არ მოისურვა იმ მიზეზების დასახელება, რომელთაც ეს განცხადება გამოიწვიეს.

ეკატერინოსლავი. საგუბერნიო ერობა შუამდგომლობს, რომ ის ხიდი, რომელიც დნეპრზედ შენდება, ცხენოსანთათვისაც მოეწყოს. სამინისტრომ წინადადება მისცა, იკისროს ერობამ 120,000 მანეთი საერთო ხარჯის 400,000 მანეთიდან. გუშინ ერობის საგანგებო კრებამ მიიღო ეს წინადადება.

ადესსა. გარდაიცვალა თამასუქების გამნაღდებელ ბანკის გამგეობის თავმჯდომარე 83 წლის კაცი რალლი. რალლის 50 მილიონ მანეთამდე შეძლება დარჩა.

ბიისკი. შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ ბიისკში დაარსდეს ციმბირის ბანკის განყოფილება.

იოკოჰამა. გარეშე საქმეთა მინისტრის საგანგებო სადილზე ჩინელმა პრინცმა ციიხუნმა შეაქო იაპონიის მოქმედება 1900 წლის კრიზისის დროს და აღნიშნა, რომ იაპონია და ჩინეთი მჭიდროთ არიან შეკავშირებულნი; ეს ორი ერი მომავალში ერთად იმოქმედებს, რომ აღადგინონ აზიის კეთილდღეობა.

30 აგვისტო

ორიოლი. დღეს შუადღის 12 საათსა და 34 წუთზე სადგურ მცენსკზე გაიარა ხელმწიფე იმპერატორმა, რომელიც კურსკის ალლუმზე მიბრძანდება. ხელმწიფესთან ერთად იყვნენ მემკვიდრე და დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

კურსკი. დღეს საღამოს 6 საათსა და 15 წუთზე კურსკში მობრძანდნენ ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე-მემკვიდრე და დიდი მთავრები. სადგურზე მათ მიეგებნენ დიდი მთავრები სერგეი ალექსანდრეს ძე და მიხეილ ნიკოლოზის ძე, სადგურის დარბაზში შეკრებილიყვნენ მინისტრები, ობერ-ცერემონიმეისტერი გენდრიკოვი, ჰოფმეისტერი კონიარი, ცერემონი-მეისტერი მეშჩერსკი, გუბერნატორი გრაფი მილიუტინი და გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დურნოვო. მეორე დარბაზში იყვნენ სხვა-და-სხვა დეპუტაციები. ერობის წარმომადგენელმა რაევსკიმ ხელმწიფეს პურ-მარილი მიართვა და წარუდგინა ერობის 35 წლის მოღვაწეობის ანგარიში. შემდეგ ხელმწიფემ ინახულა სოფლის მამასახლისები, რომელთაგან ერთმა მიართვა იმპერატორს პურ-მარილი და მოახსენა: „უსაზღვროდ ბედნიერნი ვართ, რომ გხედავთ თქვენ, უსაყვარლესო მეფევ; გთხოვთ უმოწყალესად მიიღოთ ჩვენგან ეს პურ-მარილი, წმინდის გულით მოძღვნილი“. შემდეგ ხელმწიფემ მიიღო სხვა დეპუტატებიც და ბოლოს, 7 საათსა 10 წუთზე, გაემგზავრა სადგურ რიჟკოვოზე, სადაც ბინა ექნება ალლუმების დასრულებამდე.

პეტერბურგი. რუსეთის ელჩი ლონდონში ბარონ სტაალი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა; ამასთანავე მას ებოძა ანდრია პირველწოდებულის ორდენი.

პრიამურის გენერალ-გუბერნატორს გროდეკოვს ებრძანა იყოს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

საერო სამინისტროს მმართველს ზენგერს ტაინი სოვეტნიკობა ებოძა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. დ 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1) ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს.30 წ.([illegible] ს.28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. [illegible] წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამ. 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ.(3 ს.48 წ).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

მზად არის და მზადდება **ყურძნის საჭაჩავები, საჭყლეტები**, გრეგუარები და იმის ნაწილები. ფასები ხელ-მისაწვდომია.

ლით. და სამეურ. იარაღის ქარხანათა საზოგადოება **ინჟ. გ. ზ. იარალოვისა და ამხ.**-სა ტფილისში, ყვირილის ქუჩაზე (სადგურის მახლობლად). (3—394—1)

დ. სარჩხერაშვილი

მასწავლებელი **ხერგიი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს გალობას** ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

რესტორანი!

ონანოვის ქარვასლაში სიონის პირ-და-პირ ქ. ტფილისში ახლათ გასუფთავებული და ყოველივე მხრით გაუმჯობესებული. ფასები ყველაზე ზომიერია.

სადილი ორი „ბლუდით“ და ყავა

30 კაპ.

რესტორანის პატრონი **ზ. ი. შატაქიძე**
6—393—1

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

ტელეფონი № 741.

გადავიდა ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების‘‘ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—16)

დიდი ვერცხლის მედალი

[illegible] 1901 წლის გამოფენა

ახალი სახურავი,

რომელზედაც პატენტია. ელვარული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის და ამხანაგობისა

ბათუმში.

დიდხანს გამძლეობა და იაფი სახურავი

[illegible]

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:

ტფილისში **გ. მულიარსკი**
(ერევნის მოედანზე № 25)

ქუთაისში **ვ. ჩილაძე**
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—18)